

შპს „გზები“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2020 წ.

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	2
კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	4

საქართველო, ქ. თბილისი ზღვისუბნის
კვარტალი IX, კორპუსი N15, ბინა N24
591191705

ელ-ფოსტა: alania49@mail.ru ;
ს/კ400290662

Georgia, Tbilisi, Nadzaladevi დასახლება,
Tsgvisubani settlement, quarter IX მობ.: 577429137;
building N15, apartment N24

mob.: 577429137; 591191705
E-mail: alania49@mail.ru

For and on behalf of „ Audit A” LLC (Reg.№ SARAS-F-911029) Jemal Alania (Reg.№SARAS-A-336078)

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „გზები“-ს მფლობელებს და მმართველობას:

ჩვენი მოსაზრება

ჩვენის აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება („ფინანსური ანგარიშგება“), ყველა არსებითი თვალსაზრისით, სამართლიანად წარმოაჩენს შპს „გზები“-ს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას („კომპანია“ და მისი შვილობილი საწარმოების (ერთად-„ჯგუფი“) 2020 წლის 31 დეკემბრისათვის და 2020 წლის მის კონსოლიდირებულ ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენ განვახორციელეთ შემდეგი სახის აუდიტირება

ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
- დასრულებული წლის ბოლოსათვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
- კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება დასრულებული წლის ბოლოსათვის
- ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება დასრულებული წლის ბოლოსათვის ;
- ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამებას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ განვახორციელეთ აუდიტირება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ასს). აღნიშნული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში „ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებისას აუდიტორის პასუხისმგებლობა“.

ჩვენ გვჯერა, რომ, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებანი საკმარისი და შესაფერისია იმისათვის, რომ წარმოვადგინოთ ჩვენი მოსაზრების საფუძვლები.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ „ჯგუფი“-საგან დამოუკიდებლები, „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ მიერ დადგენილი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“-ს შესაბამისად (IESBA კოდექსი). ჩვენ ავიღეთ ეთიკური პასუხისმგებლობა „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო“-ს მიერ დადგენილი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“-ს შესაბამისად.

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენი აუდიტის დასკვნას მასზე)

ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებასთან დაკავშირებით, ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის მმართველობის ანგარიშგების წაკითხვა და ამით განსაზღვრა, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან, არის თუ არა არსებითი უზუსტობები მასში.

ამასთანავე, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ჩვენ მოგვეთხოვება ჩვენი მოსაზრების გამოთქმა იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება მმართველობის ანგარიშგების კონკრეტული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, შეიცავს თუ არა მენეჯმენტის ანგარიში ისეთ ინფორმაციას, რაც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ მენეჯმენტის ანგარიშგებაში არსებობს არსებითი უზუსტობა, ჩვენი მხრიდან მოგვეთხოვება დავაფიქსიროთ აღნიშნულის შესახებ. თუმცა, ამ მხრივ ჩვენს დასკვნაში არაფერი გვაქვს წარმოსადგენი.

ჩვენი აუდიტის მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი მოსაზრება შემდეგია ყველა არსებითი ასპექტით:

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში ფინანსური წლისათვის, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას ;და
- მმართველობის ანგარიშგება შეიცავს ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით და შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

მენეჯმენტისა და იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც ჩართულნი არიან ფინანსური ანგარიშგებების მართვაში

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული

აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად. ამასთანავე,

პასუხისმგებელია შიდა კონტროლზე, რომელიც განსაზღვრულია მენეჯმენტის მოთხოვნების შესაბამისად, რათა შესაძლებელი გახდეს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადება, სადაც არ ექნება ადგილი მატერიალურ, არსებით უზუსტობას, თაღლითობას ან შეცდომებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია შეაფასოს „ჯგუფის” უნარი განაგრძოს ფუნქციონირებადობა, როგორც მოქმედმა. აუცილებლობის შემთხვევაში გაამჟღავნოს ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ოპერაციების უწყვეტობასთან და აღრიცხვის პრინციპების უწყვეტ გამოყენებასთან, სანამ მენეჯმენტი არ დააპირებს ჯგუფის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ ექნება სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ აღნიშნულის განხორციელებისა.

ის პირები, რომლებიც ჩართულნი არიან „ჯგუფი”-ს მმართველობაში, პასუხისმგებელნი არიან ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებისას

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ გონივრული, დასაბუთებული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება თავისუფალია მატერიალური, არსებითი უზუსტობებისგან, თაღლითობისა და შეცდომებისგან საერთო ჯამში და წარმოვადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც შეიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული, დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ აუდიტირება, რომელიც შესრულდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ყოველთვის აღმოაჩენს მატერიალურ, არსებით უზუსტობას ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობანი შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომების ნიადაგზე და მიიჩნევა მატერიალურ, არსებით უზუსტობად იმ შემთხვევაში, თუ ცალკეულად ან საერთო ჯამში, მოსალოდნელია, რომ ისინი გავლენას მოახდენენ იმ პირების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე იღებენ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს.

როგორც აუდიტირების შემადგენელი ნაწილი, რომელიც ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტირების განმავლობაში ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობასა და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს მთელი აუდიტის განმავლობაში. ამასთანავე, ვასრულებთ შემდეგს:

- ვახორციელებთ ფინანსური ანგარიშგების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ვადგენთ, რამდენად აქვს ადგილი თაღლითობას ან შეცდომას, ვახორციელებთ ისეთ აუდიტორულ პროცედურებს, რომლებიც რეაგირებენ ამ რისკებზე, მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების წარმოსადგენად. რისკი იმისა, რომ შეიძლება ვერ მოხდეს მატერიალურ, არსებით უზუსტობათა აღმოჩენა, თაღლითობიდან გამომდინარე უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ უზუსტობა შესაძლოა გამოწვეული იყოს შეცდომების დაშვების საფუძველზე, ვინაიდან, თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს შეთქმულებას, გაყალბებას, განზრახ დაუდევრობა-გამოტოვებას, ფაქტების დამახინჯებას, ან შიდა კონტროლის გაუქმებას.
- ჩვენ ვახორციელებთ აუდიტისთვის შესაბამის შიდა კონტროლს, იმისათვის, რომ შევიძუშავოთ აუდიტორული პროცედურები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება გარემოებებთან, მაგრამ ამას ვასრულებთ არა იმისთვის, რომ გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება

„ჯგუფის” შიდა კონტროლის ეფექტურობასთან დაკავშირებით.

- ვახორციელებთ მენეჯმენტის მიერ გამჟღავნებული საბუღალტრო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის შესაბამისობის შეფასებას.
- ვაჯამებთ მენეჯმენტის მიერ ბიზნესის უწყვეტობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მიღებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე ვადგენთ, არსებობს თუ არა მატერიალური, არსებითი შეუსაბამობა იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეჭვის წარმოშობა „ჯგუფის” ქმედითუნარიანობასთან დაკავშირებით, აგრეთვე ვადგენთ, რამდენად შესწევს „ჯგუფს” საქმიანობის გაგრძელების უნარი. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობანი, ჩვენ მოგვეთხოვება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე ყურადღების გამახვილება, რომელიც უკავშირდება ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამჟღავნება არაადეკვატურია, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომელიც მოპოვებულია ჩვენი აუდიტორული დასკვნის თარიღისათვის, თუმცა, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა, ან გარემოებამ, შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის საქმიანობის შეწყვეტა.
- ვახორციელებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიანი პრეზენტაციის, სტრუქტურისა და შინაარსის შეფასებას, მათ შორის გამჟღავნებული ინფორმაციის შეფასებას და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანადაა წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი ოპერაციები და მოვლენები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აზრის გამოხატვის მიზნით ჯგუფში არსებული სუბიექტების ფინანსური და ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ჯგუფის აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ, პირადად ვაგებთ პასუხს ჩვენი აუდიტის დასკვნებზე.

ვაწარმოებთ კომუნიკაციას იმ პირებთან, რომლებიც ჩართულნი არიან

მმართველობის საკითხებში, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას

აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის მიერ

მოპოვებული მნიშვნელოვანი აღმოჩენების, მათ შორის შიდა კონტროლის

სისტემაში გამოვლენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების

შესახებ, რომლებიც აღმოვაჩინეთ ჩვენი აუდიტის განმავლობაში.

შპს „აუდიტი - A” -ს სახელით (რეგისტრაციის № SARAS-F-911029)

ჯემალ ალანია (რეგისტრაციის № SARAS-A-336078)

22 ოქტომბერი 2021 წელი

თბილისი, საქართველო

/ხელმოწერილია/

შპს „გზები“
 ფინანსური მდგომარეობის
 კონსოლიდირებული
 ანგარიშგება 2020 წლის 31
 დეკემბრის მდგომარეობით

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
ქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2,534,016	2,979,058	3,377,384
მიწა	1,749,958	1,749,958	1,749,958
არამატერიალური აქტივები	30,947	30,947	30,947
სულ გრძელვადიანი აქტივები	4,314,921	4,759,963	5,158,289
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2,044,906	2,181,038	2,157,972
გაცემული სესხები	389,059	425,170	420,174
გადახდილი ავანსები	143,370	88,855	26,629
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,553,384	3,173,294	2,566,733
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	0
ფული და ფულის ექვივალენტები	957,477	215,297	126,864
მოთხოვნები წილის შესყიდვაზე	1,534,042	1,323,517	1,254,694
სულ მიმდინარე აქტივები	7,622,238	7,407,171	6,553,066
სულ აქტივები	11,937,159	12,167,134	11,711,355
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	1,833,112	2,277,587	2,724,264
სარეზერვო კაპიტალი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება	5,830,914	5,057,010	4,286,069
სულ კაპიტალი	7,664,026	7,334,597	7,010,333
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	2,332,124	3,433,749	2,546,609
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	155,121	85,359	298,850
მიმდინარე სესხები	250,754	279,514	640,433
სხვა საგადასახადო ვალდებულება	500,081	246,466	362,061
ვალდებულება თანამშრომელთა წინაშე	1,035,053	743,689	563,569
სულ მიმდინარე ვალდებულებები	4,273,133	4,788,777	4,411,522
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა ფინანსური ვალდებულებები	0	43,760	289,500
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	0	43,760	289,500
სულ ვალდებულებები	4,273,133	4,832,537	4,701,022
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	11,937,159	12,167,134	11,711,355

დირექტორი

ი.აბაშიძე

შპს „გზები“

სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი		9,399,534	18,074,644
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		(3,638,466)	(5,725,042)
საერთო მოგება		5,761,068	12,349,602
საერთო ადმინისტრაციული ხარჯი		(4,909,106)	(11,542,559)
საოპერაციო მოგება		851,962	807,043
ფინანსური ხარჯები		(92,654)	(161,490)
(ზარალი)/მოგება საკუროს სხვაობიდან		(68,188)	18,225
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		82,784	107,163
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		773,904	770,941
მოგების გადასახადი		0	0
გადავადებული მოგების გადასახადის შემოსავალი		0	0
წმინდა მოგება/ზარალი		773,904	770,941

დირექტორი:

ი.აბაშიძე

შპს „გზები“

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

	სარეზერვო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
01 იანვარი 2019 წელი	-	2,724,264	4,286,069	7,010,333
პერიოდის მოგება		-	770,941	
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	(446,677)	-	
გაცემული დივიდენდი			-	
31 დეკემბერი 2019 წელი	-	2,277,587	5,057,010	7,334,597
პერიოდის მოგება	-	-	773,904	
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	(444,475)	-	
31 დეკემბერი 2020 წელი	-	1,833,112	5,830,914	7,664,026

დირექტორი:

ი.აბაშიძე

შპს „გზები“

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერი

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	773,904	770,941
მოგების გადასახადი	-	-
ცვეთა ამორტიზაცია	497,497	602,706
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე	1,271,401	1,373,647
ზრდა/შემცირება სასაქონლო მატერიალურ ფასეულობაში	136,132	(23,066)
ზრდა/შემცირება გადახდილი ავანსები	(19,253)	(62,226)
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	619,910	(606,561)
გაცემული სესხები	36,111	(4,996)
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(522,146)	738,174
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან	250,754	41,325
წმინდა ფულის შემოსავლა(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	250,754	41,325
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(52,455)	(204,380)
ინვესტიცია საწესდებო კაპიტალში	(444,475)	(446,677)
სარეზერვო კაპიტალი	-	-
წილის შესყიდვა	(210,525)	(68,823)
წმინდა ფული (გამოყენებული) მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან	(707,455)	(719,880)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
აღებული სესხი	-	-
გადახდილი სესხი	(28,760)	(360,919)
მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე	-	-
ფინანსური იჯარა	(43,760)	(245,740)
გადახდილი დივიდენდი	-	-
წმინდა ფული (გამოყენებული) მიღებული ფინანსური საქმიანობიდან	(72,520)	(606,659)
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე	-	-
წმინდა ფულის ზრდა	742,180	88,433
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	215,297	126,864
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	957,477	215,297

დირექტორი

ი.აბაშიძე

1. შესავალი

1. "ჯგუფი" და მისი ოპერაციები

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, შპს „გზები“-ისა (შემდგომში - „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიებისთვის („ჯგუფი“ ან „გზები“)

შპს „გზები“ საქართველოში ჩამოყალიბდა 1996 წლის 25 მარტს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია იურიდიულად დარეგისტრირდა ქ. ბათუმის სასამთლოს მიერ, მისი საინდეტიფიკაციო ნომერია: 245425393.

ძირითადი საქმიანობა. „ჯგუფი“ ჩართულია გზებისა და ავტობანების სამშენებლო პროექტებში. „ჯგუფი“ საქართველოში ფლობს ლიცენზიებს მინერალური რესურსების (ქვიშა და ხრეში) მოსაპოვებლად. „ჯგუფი“ ასევე აწარმოებს ბეტონსა და ასფალტს. ჯგუფის საწარმოო ობიექტები განთავსებულია აჭარის რეგიონში.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-ს ფლობდა საქართველოში ფ/პ ირაკლი აბაშიძე (პ/ნ 61001021235) . კომპანია ფლობს აქციებს შემდეგ საწარმოებში:

საწარმო	ბიზნესი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
შპს „კვალი“	არააქტიური სუბიექტი	25%	25%
შპს „ბაგრატიონი 26“	საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა	100%	100%

2010 წლის 22 იანვარს, კომპანიამ შპს „გუმბათი ჯგუფ“-თან, ფ/პირები დავით რამიშვილი (პ/ნ 01011010199) და ტარიელ ზუზამესთან (პ/ნ 01011010198) ერთად ჩამოაყალიბა შპს „კვალი“(ს/კ 206033834), საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისთვის. „ჯგუფს“ არ გააჩნია ფაქტობრივი კონტროლი აღნიშნული კომპანიების წილებში და შესაბამისად არცერთი მათგანი გათვალისწინებული არ არის წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2017 წლის 8 ნოემბერს, კომპანიამ ჩამოაყალიბა შპს „ბაგრატიონი 26“- (ს/კ445519804), რაც ეხებოდა საცხოვრებელი სახლის მშენებლობას. კომპანია ფლობს ერთობლივი საწარმოს წილის 100 %-ს და მის ეფექტურ კონტროლს. აქედან გამომდინარე წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებულია სტრუქტურული ორგანიზაციის სახით.

2. "ჯგუფი"-ს სამუშაო გარემო

„ჯგუფი“-ს ძირითადი ბიზნეს აქტივობები ხორციელდება საქართველოს ფარგლებში. საქართველოსთვის დამახასიათებელია განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები, მათ შორის ინფლაციის შედარებით მაღალი დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს (შენიშვნა 26).

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად დიდწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტრული ზომების ეფექტურობაზე. მენეჯმენტს არ ძალუძს წინასწარ განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, ვერ განსაზღვრავს თუ რა გავლენა ექნება „ჯგუფი“-ს მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი თვლის, რომ იგი იღებს ყველა საჭირო ზომას „ჯგუფი“-ს ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

3. ძირითადი ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შეჯამება

მომზადების საფუძვლები. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა ("IFRS") და "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები. გარდა ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების ცვლილებებისა, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან და გამომდინარეობს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების "IFRS" 9 მიღებიდან, აღნიშნული პრინციპები თანმიმდევრულად გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("IFRS") შესაბამისად, მოითხოვს გარკვეული კრიტიკული ბუღალტრული აღრიცხვის შეფასების გამოყენებას. ამასთანავე „ჯგუფი“-ს სააბუღალტრო აღრიცხვის პრინციპების გამოყენების პროცესში მენეჯმენტისგან მოითხოვს საკუთარი მსჯელობის გამოყენებას. სფეროები, რომლებიც შეიცავენ შედარებით მაღალი დონის მსჯელობასა და კომპლექსურობას, ან სფეროები სადაც ვარაუდები და შეფასება არსებითად მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, მოცემულია შენიშვა 4-ში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი კომპანიები არიან ის ინვესტირებული საწარმოები, მათ შორის სტრუქტურული ერთეულები, რომლებსაც აკონტროლებს „ჯგუფი“, ვინაიდან „ჯგუფი“ (i) უფლებამოსილია მართოს ინვესტირებული საწარმოების შესაბამისი საქმიანობა, რაც მნიშვნელოვნად აისახება მათ შემოსავალზე, (ii) თავისი ჩართულობით

ინვესტირებულ საწარმოებში აქვს ზეგავლენა ან უფლება ცვალებადი შემოსავლების მიმართ და (iii) შესწევს უნარი გამოიყენოს თავისი ძალაუფლება ინვესტირებული საწარმოების მიმართ, რათა გავლენა მოახდინოს მიღებული შემოსავლების ოდენობაზე. მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების არსებობა და ზეგავლენა, მათ შორის პოტენციური ხმის მიცემის უფლება გათვალისწინებულია მაშინ, როდესაც ფასდება „ჯგუფი“-ს ძალაუფლება სხვა ორგანიზაციის მიმართ. იმისათვის, რომ უფლება იყოს მატერიალურ-სამართლებრივი, მფლობელს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული შესაძლებლობა გამოიყენოს აღნიშნული უფლება, როდესაც საჭიროა გადაწყვეტილების მიღება ინვესტორის შესაბამისი საქმიანობის მიმართულებების შესახებ. „ჯგუფს“ შეიძლება ჰქონდეს ძალაუფლება ინვესტირებულ საწარმოზე, მაშინაც კი როდესაც იგი ინვესტირებულ საწარმოში ფლობს ხმათა უმრავლესობაზე ნაკლებს. ასეთ შემთხვევაში, „ჯგუფი“ აფასებს თავისი ხმის უფლებების რაოდენობას, კენჭისყრის უფლების მქონეთა სხვა პირთა ხმების რაოდენობის და გადანაწილების შესაბამისად, რათა დაადგინოს აქვს თუ არა მას ფაქტობრივი ძალაუფლება ინვესტირებულ საწარმოზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, მაგალითად ისეთი, უფლებები, რომლებიც ეხება ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის ფუნდამენტურ ცვლილებებს, ან გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, ხელს არ უშლის „ჯგუფს“ ინვესტირებული საწარმოს გაკონტროლებაში. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირდება იმ თარიღიდან, როდესაც კონტროლი გადაეცემა „ჯგუფს“ (შემენის თარიღი), ხოლო დეკონსოლიდებულია იმ დღიდან, როდესაც კონტროლი წყდება.

„ჯგუფი“ აფასებს არამაკონტროლებელ წილს, რომელიც წარმოადგენს ამჟამინდელი საკუთრების წილს და შეთანხმების საფუძველზე გარიგების ლიკვიდაციის შემთხვევაში, მფლობელს ანიჭებს უფლებამოსილებას წმინდა აქტივების პროპორციულ წილზე ან (ა) რეალურ ღირებულებაზე, ან (ბ) შემენილი წმინდა აქტივის არამაკონტროლებელი წილის პროპორციულ წილზე. არამაკონტროლებელი წილი, რომლებიც არ წარმოადგენს ამჟამინდელი საკუთრების წილს, ფასდება რეალური ღირებულებით.

კომპანიათაშორისი გარიგებები, ნაშთები და არარეალიზებული მოგება „ჯგუფი“-ს კომპანიებს შორის ელიმინირებულია; აგრეთვე ელიმინირებულია არარეალიზებული ზარალი, თუ ხარჯის ამოღება შეუძლებელია. კომპანია და მისი ყველა შვილობილი კომპანია იყენებს ერთიანი ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებს, „ჯგუფი“-ს პოლიტიკის შესაბამისად.

მეკავშირე საწარმოები. მეკავშირე საწარმოები არიან ის სუბიექტები, რომლებზეც „ჯგუფს“ აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა (პირდაპირ ან არაპირდაპირ), მაგრამ არა კონტროლი, აქვს 25%-დან და 100%-მდე ხმის უფლება. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში აღირიცხება კაპიტალ მეთოდის გამოყენებით და თავდაპირველად აღიარებულია თავდაპირველი ღირებულების შესაბამისად, ხოლო სააღრიცხვო ღირებულება იზრდება ან მცირდება შემენის თარიღის შემდეგ ინვესტორის წილით ინვესტირებული საწარმოს მოგებასა და ზარალში. მეკავშირე საწარმოებიდან მიღებული დივიდენდები ამცირებს მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას. შემენის შემდგომ მეკავშირე საწარმოებში „ჯგუფის“ წილის სხვა ცვლილებები აღიარებულია შემდეგი სახით: (i) მეკავშირე საწარმოებში მოგების ან ზარალის „ჯგუფი“-ს წილი აღირიცხება წლის კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში, როგორც მეკავშირე საწარმოების შედეგების წილი (ii) სხვა

მთლიანი შემოსავლის „ჯგუფი“-ს წილი აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში და წარმოდგენილია განცლაკვევებით, (iii); მეკავშირე საწარმოების წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებაში „ჯგუფი“-ს წილის ნებისმიერი სხვა ცვლილება აღიარებულია მოგება- ზარალში

მეკავშირე საწარმოების შედეგებიდან წილის ფარგლებში.

თუმცა, როდესაც „ჯგუფი“-ს წილი ზარალი მეკავშირე საწარმოებში უთანაბრდება ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოებში ნებისმიერი სხვა არაუზრუნველყოფილი დებიტორული დავალიანების ჩათვლით, „ჯგუფი“ არ აღიარებს შემდგომ ზარალს, თუ მას არ აქვს ნაკისრი ვალდებულებები ან განხორციელებული გადახდა მეკავშირე საწარმოს სახელით.

„ჯგუფსა“ და მის მეკავშირე საწარმოებს შორის ტრანზაქციებიდან წარმოშობილი არარეალიზებული მოგება ელიმინირებულია მეკავშირე საწარმოებში „ჯგუფი“-ს ინტერესიდან გამომდინარე; არარეალიზებული ზარალი ასევე ელიმინირებულია, თუ ტრანზაქცია არ წარმოადგენს გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას.

ერთობლივი საქმიანობა. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 11-ის შესაბამისად, ინვესტიციები ერთობლივ საქმიანობაში კლასიფიცირდება ან ერთობლივ ოპერაციებად, ან ერთობლივ საწარმოებად, რაც დამოკიდებულია თითოეული ინვესტორის სახელშეკრულებო უფლებებსა და ვალდებულებებზე. „ჯგუფმა“ შეაფასა თავისი ერთობლივი საქმიანობების ხასიათი და განსაზღვა ისინი ერთობლივ საწარმოებად. ერთობლივ საწარმოთა აღრიცხვა ხდება კაპიტალ მეთოდის გამოყენებით.

კაპიტალ მეთოდით აღრიცხვისას, ერთობლივ საწარმოებში წილები აღიარებულია თავდაპირველი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი კორექტირება, რათა აღიარდეს შეძენის შემდგომი „ჯგუფი“-ს წილი მოგება ან ზარალი და ცვლილებები სხვა მთლიან შემოსავალში. როდესაც ერთობლივ საწარმოში „ჯგუფი“-ს წილი ზარალი უტოლდება, ან აღემატება მის წილს ერთობლივ საწარმოებში (რომელიც მოიცავს ნებისმიერ გრძელვადიან ინტერესებს, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს ჯგუფის წმინდა ინვესტიციის ნაწილს ერთობლივი საწარმოებში), „ჯგუფი“ არ აღიარებს შემდგომ ზარალს, თუ მას არ აქვს ნაკისრი ვალდებულებები ან განხორციელებული გადახდა ერთობლივი საწარმოების სახელით.

არარეალიზებული მოგება წარმოშობილი „ჯგუფსა“ და მის ერთობლივ საწარმოებს შორის ტრანზაქციებიდან, ელიმინირებულია ერთობლივ საწარმოებში „ჯგუფი“-ს ინტერესიდან გამომდინარე; არარეალიზებული ზარალი ასევე ელიმინირებულია, თუ ტრანზაქცია არ წარმოადგენს გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. „ჯგუფი“-ს თითოეული კონსოლიდირებული ერთეულის ფუნქციური ვალუტა არის ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „ჯგუფი“ საქმიანობს. „ჯგუფი“-ს ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("ლარი").

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება თითოეული სუბიექტის ფუნქციურ ვალუტაში საანგარიშო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გაცვლითი კურსით

გამოწვეული ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც გამომდინარეობს ოპერაციებიდან და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციით ფუნქციურ ვალუტაში წლის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, აღიარდება მოგებაში ან ზარალში ან სხვა მთლიან შემოსავალში. უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებული

მოგება ან ზარალი, რომელიც უკავშირდება სესხებს, წარმოდგენილია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „ფინანსური ხარჯების“ ფარგლებში. სხვა დანარჩენი უცხოური ვალუტის მოგება და ზარალი წარმოდგენილია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გაცვლითი კურსის სხვაობებში.

წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც შეფასებულია ისტორიული ღირებულებით. არაფულადი მუხლები საკაპიტალო ინვესტიციების ჩათვლით, ფასდება რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, რომელთა კონვერტაცია ხორციელდება იმ დღეს არსებული გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა რეალური ღირებულების განსაზღვრა. გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა არაფულად მუხლებზე, რომლებიც ფასდება რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, აღირიცხება რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილად.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი ოფიციალური კურსი იყო 1 აშშ დოლარი (“USD”) = 3,2766 ლარი და 1 ევრო (“EUR”) = 4,0233 ლარი (2019 წლის 31 დეკემბერს: 1 აშშ დოლარი = 2.8677 ლარს, ხოლო 1 ევრო = 3.2095 ლარს). ამჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

წარსადგენი ვალუტა. აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში ("ლარი"), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები მითითებულია თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი სახის გაუფასურების აკუმულირებული ზარალი. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის ადგილზე მიტანას და მის ისეთ მუშა მდგომარეობაში მოყანასთან, რომელიც აუცილებელია მენეჯმენტის მიერ დადგენილ რეჟიმში ფუნქციონირებისთვის.

შემდგომი ხარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკეულ აქტივად მხოლოდ მაშინ, როდესაც სავარაუდოა რომ ნივთთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი მიეწოდება „ჯგუფს“ და შესაძლებელი ხდება ნივთის ღირებულების საიმედო შეფასება. მცირე სარემონტო და ყოველდღიური მოვლა-შენახვისთვის საჭირო ხარჯების გაწევა ხდება საჭიროების შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზებულია, ხოლო შეცვლილი ნაწილი ბრუნვიდან ამოღებულია.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არის თუ არა ძირითადი საშუალებები გაუფასურებული. თუ ადგილი აქვს გაუფასურებას, მენეჯმენტი აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც არის აქტივის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება- ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია მოცემული

აქტივისთვის გასულ წლებში, რევერსირებულია, საჭიროებისამებრ, თუ იმ წინასწარ შეფასებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა, მოხდა რაიმე ცვლილება.

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება შემოსავლების შედარების გზით, საბალანსო ღირებულებასთან და აღიარებულია წლის მოგება-ზარალში.

ამორტიზაცია: მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ ექვემდებარება ამორტიზაციას. ამორტიზაცია სხვა აქტივებზე ირიცხება ისე, რომ აქტივების ღირებულება გადანაწილდება მათ სასარგებლო გამოყენების ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე შემცირებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

შეფასებული სასარგებლო ექსპლუატაციის პერიოდი მერყეობს შემდეგნაირად:

სასარგებლო ექსპლუატაციის
პერიოდი წლების მიხედვით

შენობა-ნაგებობები	5-20წწ.
მანქანა დანადგარები და	
აღჭურვილობა	2- 20წწ.
სხვა	2 -10წწ.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო ექსპლუატაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდები განიხილება და კორექტირდება საჭიროების შემთხვევაში, თუ ბოლო საანგარიშო თარიღის შემდგომ არსებობს ინდიკატორი მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მაღალია ვიდრე მისი წინასწარ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივის გასვლით მიღებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსავლების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მუხლში ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული მოგება.

არამატერიალური აქტივები. „ჯგუფი“-ს არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო ექსპლუატაციის პერიოდი და მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზიებს.

შემენილი მინერალური რესურსების მოპოვების და პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება ხარჯების საფუძველზე, რაც საჭიროა მათ შესამენად და გამოსაყენებლად.

არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი სასარგებლო ექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში:

სასარგებლო
ექსპლუატაციის
პერიოდი წლების
მიხედვით

მინერალური რესურსების
მოპოვების ლიცენზიები
პროგრამული
უზრუნველყოფის
ლიცენზიები

2-25 წწ.

7-10 წწ.

გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვების დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმაღლესამდე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები რომლებიც ექვემდებარება ცვეთას და ამორტიზაციას, განიხილება გაუფასურებაზე, როდესაც მოვლენები და ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება ხორციელდება იმ თანხით, რითაც აქტივების საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უმაღლესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის, აქტივები დაჯგუფებულია იმ უმცირეს დონეებად, რომლებისთვისაც არსებობს მნიშვნელოვანწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). თითოეული საანგარიშო პერიოდისათვის არაფინანსური აქტივების წინასწარი გაუფასურება განიხილება სავარაუდო ანაზღაურების საგნად.

ფინანსური ინსტრუმენტები-ძირითადი საზომი პირობები. რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისათვის ბაზრის მოწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციების დროს. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას წარმოადგენს ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, რომელშიც აქტივების ან ვალდებულებების შესახებ გარიგებები ხორციელდება ისეთი სიხშირით და მოცულობით, რომ მათ მუდმივად უზრუნველყონ ფასების შესახებ ინფორმაციის მოწოდება.

მოქმედ ბაზარზე ყიდვა-გაყიდვადი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება იზომება, როგორც ცალკეული აქტივის ან ვალდებულებისთვის კოტირებული ფასის პროდუქტი და ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ინსტრუმენტების რაოდენობის მიხედვით. ეს ასეა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბაზრის ნორმალური დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი არსებული რაოდენობის ასათვისებლად და შეკვეთების განთავსებამ მოცემული პოზიციის გაყიდვაზე ერთ ტრანზაქციაში შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების ისეთი ტექნიკა, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები, ან მოდელები, რომლებიც დაფუძნებულია ბოლოდროინდელ ტრანზაქციებზე გაშლილი ხელის პრინციპით ან ინვესტირების მიმღებთა ფინანსური მონაცემების გათვალისწინება გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არის ხელმისაწვდომი გარე ბაზრის ფასების შესახებ ინფორმაცია. რეალური

ღირებულების შეფასების ანალიზი ხდება დონეების მიხედვით, რეალური ღირებულების იერარქიის შესაბამისად: (i) პირველ დონეს წარმოადგენს შეფასებები კოტირებული ფასებით (დაუკორექტირებელი), რომელიც არსებობს აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისთვის ან ვალდებულებებისთვის, (ii) მეორე დონის შეფასებები, წარმოადგენს შეფასების ტექნიკას ყველა მატერიალური წარმოების ხარჯებით, რომელიც არსებობს აქტივის ან ვალდებულებებისთვის, ან პირდაპირ (არსებული ფასებით) ან არაპირდაპირ (ფასებიდან გამომდინარე) და (iii) მესამე დონე, არის შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ ბაზარზე არსებული მონაცემების დაკვირვებებს (ეს არის შეფასება, რომელიც მოთხოვს მნიშვნელოვან არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს). რეალური ღირებულების იერარქიას შორის გადაადგილებები ითვლება საანგარიშო პერიოდის ბოლოს წარმოქმნილად.

გარიგების ხარჯები არის დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტების შეძენას, გამოცემას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯები არ წარმოიშობოდა, თუ ადგილი არ ექნებოდა გარიგებას. გარიგების ხარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც ასრულებენ გაყიდვების აგენტების მოვალეობას), მრჩეველებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ გადასახადებს და საკომისიოებს, მარეგულირებელი ორგანოების მიერ დაწესებულ გადასახადებს და ფასიანი ქაღალდების და გადასახადებისა და მოსაკრებელის გადაცემას. გარიგების ხარჯები არ მოიცავს სესხის პრემიას ან ფასდაკლებას, საფინანსო ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ჰოლდინგის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები, პლიუს დარიცხული პროცენტი, რომელიც შეიცავს თავდაპირველ თანხასა და დაფარვის ვადის დადგომისას გადასახდელ თანხას შორის სხვაობის დაგროვილ ამორტიზაციას, რომელიც გამოთვლილია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კორექტირებულია ზარალის რეზერვის გათვალისწინებით. დარიცხული პროცენტით მიღებული შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის დარიცხული კუპონი, ამორტიზებული ფასდაკლება ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში), არ არის ცალკე წარმოდგენილი და შესულია შესაბამისი ერთეულების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან პროცენტის ხარჯის განაწილების მეთოდი შესაბამისი პერიოდის განმავლობაში, რათა საბალანსო ღირებულებაზე მოხდეს მუდვიმი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის მიღწევა (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს (დისკონტირება) შეფასებულ მომავალ ფულად გადახდებს ან მიღებებს (გარდა მომავალი

საკრედიტო დანაკარგებისა) საფინანსო ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ამავე საფინანსო ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ცვლადი საპროცენტო საშუალებათა ფულად ნაკადებს ფასს აკლებს მომდევნო პროცენტის ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიის ან ფასდაკლებისა, რომელიც აისახება ინსტრუმენტში გადანაწილებული კრედიტის მცოცავი კურსის განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომლებიც არ არის დარეგულირებული საბაზრო განაკვეთებზე. ასეთი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზირებულია ინსტრუმენტის მთელი მოსალოდნელი ექსპლუატაციის პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების კალკულაცია მოიცავს გადასახადებს, რომლებიც გადახდილი ან მიღებულია სახელშეკრულებო მხარეებს შორის, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს. აქტივებისთვის, რომლებიც შეძენილია ან მომდინარეობს კრედიტის გაუფასურებით თავდაპირველი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი საკრედიტო რისკისთვის დაკორექტირდება ე.ი. მისი გამოთვლა სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად განხორციელდება თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტები-თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალის მეშვეობით (FVTPL), თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური საშუალება თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც მორგებულია გარიგების ღირებულებისთვის. სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას კარგად ჩანს გარიგების ფასში. თავდაპირველი აღიარების მოგება ან ზარალი აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს განსხვავება სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტის შესახებ სხვა მიმდინარე საბაზრო გარიგებებზე დაკვირვებით, ან შეფასების ტექნიკით, რომლის წარმოების ხარჯები შეიცავს მხოლოდ არსებულ საბაზრო მონაცემებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გათვალისწინება აღიარებულია იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით (AC), ხოლო ინვესტიციები სესხის ინსტრუმენტებში ფასდება სხვა სრული შემოსავლის სამართლიანი ღირებულებით (FVOCI), რაც მაშინათვე იწვევს ზარალს.

ყველა ფინანსური აქტივის შეძენა და გაყიდვა, რომლებიც მოითხოვენ მიწოდებას იმ დროში, რაც დადგენილია საბაზრო კონვენციის რეგულაციით (შესყიდვების და გაყიდვების „ყიდვა-გაყიდვა“ ბაზრის სტანდარტული პირობებით) რეგისტრირდება იმ თარიღით, რა თარიღითაც „ჯგუფს“ აქვს ფინანსური აქტივების მიწოდების ვალდებულება. ყველა დანარჩენი შენაძენი აღიარდება, მაშინ როდესაც ორგანიზაცია ხდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე.

„ჯგუფი“ იყენებს დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების ტექნიკას, რათა განსაზღვროს იმ სესხების სამართლიანი ღირებულება, დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე. შესაძლოა წარმოიშვას განსხვავებები სამართლიან ღირებულებასა და თავდაპირველი აღიარებას შორის, რომელიც ითვლება გარიგების ფასად, ხოლო თანხის ოდენობა, რომელიც განსაზღვრულია თავდაპირველი გარიგებისას, იყენებს შეფასების ტექნიკას 3 დონიანი დაშვებით. კალიბრაციის შემდეგ თუ დარჩება რაიმე განსხვავება, ეს განსხვავებები ამორტიზდება წრფივი მეთოდით დაკავშირებულ მხარეებთან სასეხო ვადის განმავლობაში. გასხვავებები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში, თუ შეფასება იყენებს მხოლოდ 1 ან 2 დონის დაშვებებს.

ფინანსური აქტივები-კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება-შეფასების კატეგორიები.

„ჯგუფი“ ახორციელებს ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას შეფასების შემდეგ კატეგორიებად: რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL), რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული (AC). სეხსის ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) „ჯგუფი“-ს ბიზნეს მოდელზე, რაც უკავშირდება აქტივების პორტფელის მართვას და (ii) აქტივების ფულადი სახსრების დინების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები-კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება-ბიზნეს მოდელი.

ბიზნეს მოდელი ასახავს „ჯგუფი“-ს მიერ აქტივების მართვის პროცესებს, ფულადი ნაკადის წარმოქმნის მიზნით-თუ „ჯგუფი“-ს მიზანია: (i) მიიღოს აქტივებიდან სახელშეკრულებო ფულადი სახსრები („ფლობა სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მიღებისთვის“ ,) ან (ii) მიიღოს როგორც სახელშეკრულებო ფულადი სახსრები, ისე ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოიშობა აქტივების გაყიდვით („სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მიღება და აქტივების გაყიდვა“) ან თუ არ გამოიყენება არც (i) და არც (ii), ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს მოდელის ნაწილად და ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL).

ბიზნეს მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფებისთვის (პორტფელის დონეზე), რომელიც ეფუძნება შესაბამის მტკიცებულებას იმ აქტივობათა შესახებ, რომლის განხორციელებაზე „ჯგუფი“ იღებს ვალდებულებას, რათა მიაღწიოს შეფასების თარიღისთვის ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილ მიზანს. ფაქტორები, რომლებიც გათვალისწინებულია „ჯგუფი“-ს მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისას, შეიცავს მიზანს და გულისხმობს პორტფელის შექმნას, წარსულ გამოცდილებას იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება შესაბამისი აქტივების ფულადი სახსრების შეგროვება, თუ როგორ არის რისკები შეფასებული და მართული, თუ როგორ ფასდება აქტივების შესრულება და როგორ ხდება მენეჯერთა ანაზღაურება. იხილეთ შენიშვნა 4 იმ კრიტიკული შეფასებისთვის, რომელიც გამოყენებულია „ჯგუფი“-ს მიერ თავისი ფინანსური აქტივების ბიზნეს მოდელების განსაზღვრავად.

ექნება საიჯარო თანხების დროულად გადახდას, მეიჯარე აგრეთვე მიიღებს დაფინანსებას. შესაბამისად ფასს 16 აღმოფხვრის იჯარების კლასიფიკაციას ოპერაციულ, ან ფინანსურ იჯარებად, როგორც ამას ითვალისწინებს ბასს 17-ი და ამის ნაცვლად, წარმოგიდგენთ იჯარით აღრიცხვის ერთიან მოდელს. მეიჯარეებს მოეთხოვებათ აღიარონ: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისთვის, რომელიც გაიცემა 12 თვეზე მეტი ვადით, თუ ძირითადი აქტივი არ არის დაბალი ღირებულების; და (ბ) ხდება საიჯარო აქტივების ამორტიზაცია იჯარის ვალდებულებების ინტერესისგან დამოუკიდებლად, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 16 აწვდის მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნებს ბასს 17-ს. შესაბამისად, მოჯარე აგრძელებს თავისი იჯარის კლასიფიკაციას ოპერაციულ და ფინანსურ იჯარებად და იჯარის ამ ორი ტიპის განსხვავებულად აღრიცხვას.

ფასიკ 23 - „მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა“ (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის 2019 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ). ბასს 12 აკონკრეტებს თუ როგორ უნდა აღრიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადები, მაგრამ იგი არ აზუსტებს იმას, თუ როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის შედეგები. ინტერპრეტაცია ცხადყოფს, თუ როგორ უნდა მოხდეს აღიარების და შეფასების გამოყენება ბასს 12-ში, მაშინ როცა ადგილი აქვს გაურკვევლობებს მოგების გადასახადთან დაკავშირებით. საწარმო ვალდებულია განსაზღვროს, თუ როგორ განიხილოს თითოეული გაურკვეველი გადასახადი სხვა გაურკვეველი გადასახადისგან ინდივიდუალურად ან ერთ ან ერთზე მეტ გაურკვეველ გადასახადთან ერთად, რომლის საფუძველზეც მიდგომა უკეთ პროგნოზირებს გაურკვევლობის მოგვარებას. სუბიექტმა უნდა ივარაუდოს, რომ საგადასახადო ორგანო შეამოწმებს თანხებს, რომლის შემოწმების უფლებაც მას აქვს და აქვს აღნიშნული შემოწმების განხორციელებისას მასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის შესახებ სრული ცოდნა. თუ სუბიექტი დაასკვნის, რომ არ არსებობს იმის ალბათობა, რომ საგადასახადო ორგანო მიიღებს გაურკვეველ საგადასახადო მიდგომას, გაურკვევლობის გავლენა აისახება შესაბამისი დასაბეგრი მოგების ან ზარალის,

საგადასახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების დადგენისას, სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, იმის მიხედვით თუ რომელი მეთოდით აქვს მოლოდინი სუბიექტს უკეთ შეძლოს გაურკვევლობის დადგენა. საწარმო ასახავს ფაქტებისა და გარემოებების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რასაც გავლენა აქვს გადაწყვეტილებებზე და შეფასებებზე, რაც მოითხოვება ინტერპრეტაციით, როგორც ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში. ფაქტებისა და გარემოებების ან ახალი ინფორმაციის ცვლილებების მაგალითები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გადაწყვეტილების ან შეფასების გადაფასება, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ საგადასახადო ორგანოს მიერ შემოწმებითა თუ მოქმედებით, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებებით, ან საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადების შემოწმების ან ხელახალი შემოწმების ვადის გასვლით. საგადასახადო ორგანოებთან შეთანხმების არსებობა ან არარსებობა გადასახადების შესახებ, ნაკლებად სავარაუდოა, შეიცავდეს ფაქტებისა და გარემოებების ან ახალი ინფორმაციის ცვლილებებს, რაც გავლენას მოახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ გადაწყვეტილებებსა და შეფასებებზე. ცვლილება არ ახდენს გავლენას „ჯგუფი“-ს ანგარიშგებაზე .

წინასწარგადახდის პირობები უარყოფითი ანაზღაურების შესაძლებლობით – ცვლილებები ფასს 9-ში (გამოიცა თაილი 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის 2019 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ). ცვლილებები იძლევა გარკვეული სესხების და სავალო ფასიანი ქაღალდების ამორტიზებული ღირებულებით შეფასების საშუალებას, რომლის წინასწარი გადახდა შესაძლებელია ამორტიზირებულ ღირებულებაზე ნაკლები ღირებულებით, მაგალითად რეალური ღირებულებით ან იმ თანხით, რომელიც მოიცავს გონივრულ კომპენსაციას, რომლის გადახდა უნდა მოხდეს მსესხებლისთვის, რაც უტოლდება მიმდინარე ღირებულების საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდას ინსტრუმენტის დარჩენილი ექსპლუატაციის პერიოდის განმავლობაში. გარდა ამისა, სტანდარტთან დაკავშირებული დამატებული ტექსტი ასაბუთებს ფასს 9–ში არსებულ სახელმძღვანელო მითითებას, რომ გარკვეული ფინანსური ვალდებულებების შეცვლა ან გაცვლა ამორტიზებული ღირებულებით, რომლებიც არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, გამოიწვევს შემოსულობას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში. აქედან გამომდინარე, ანგარიშვალდებულ საწარმოებს უმეტეს შემთხვევაში არ შეეძლებათ გადახედონ სესხის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს სესხის დარჩენილი ვადისათვის, რათა სესხის შეცვლით თავიდან აიცილონ გავლენა მოგებაზე ან ზარალზე. ცვლილება არ ახდენს გავლენას „ჯგუფი“-ს ანგარიშგებაზე .

ცვლილებები ბასს 28-ში „ გრძელვადიანი მონაწილეობა მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში” (გამოიცა 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის 2019 წლის 1 იანვრის დასაწყისიდან ან შემდგომ).

ცვლილებები განმარტავს, რომ ანგარიშვალდებულმა საწარმოებმა უნდა გამოიყენონ ფასს 9 გრძელვადიანი სესხებისთვის, პრივილეგირებული აქციებისა და მსგავსი ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც ქმნიან წმინდა ინვესტიციის ნაწილს კაპიტალში, სანამ ინვესტორები შეძლებენ შეამცირონ ასეთი საბალანსო ღირებულება ინვესტორის ზარალის წილით, რაც აღემატება ინვესტორის წილის რაოდენობას აქციებში. ცვლილება არ ახდენს გავლენას „ჯგუფი“-ს ანგარიშგებაზე .

ცვლილებები ბასს 19 ში –“გეგმის შეცვლა, შემცირება ან მოგვარება” (გამოსვლის თარიღი 2018 წლის 7 თებერვალი, ძალაშია წლიური პერიოდებისთვის 2019 წლის 1 იანვრის დასაწყისიდან ან შემდგომ). ცვლილებები აკონკრეტებს საპენსიო ხარჯების განსაზღვრას, როდესაც წამოიჭრება ცვლილებები დადგენილ საპენსიო სარგებლის გეგმაში . როდესაც გეგმაში ადგილი აქვს ცვლილების შეტანას, -

ცვლილებას, შემცირებას ან დაფარვას – ბასს 19 მოითხოვს განსაზღვრული წმინდა სარგებლის ვალდებულების ან აქტივის გადაფასებას. ცვლილებები აღნიშნული გადაფასებიდან მოითხოვს განახლებული ვარაუდების გამოყენებას, იმისათვის რომ განსაზღვროს მიმდინარე მომსახურების ღირებულება და წმინდა პროცენტი გეგმის ცვლილების შემდგომ საანგარიშო პერიოდში. ცვლილებების შეტანამდე ბასს 19 არ აზუსტებს, თუ როგორ გასაზღვოს აღნიშნული ხარჯები გეგმაში ცვლილების შეტანის შემდგომ პერიოდში. განახლებული ვარაუდების გამოყენების მოთხოვნით, ცვლილებებისგან მოსალოდნელია ფინანსური ანგარიშგების მომხარებლებისთვის სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება. ცვლილება არ ახდენს გავლენას გრუპის ანგარიშგებაზე .

6. ახალი საბუღალტრო აღრიცხვის დებულებები

გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვრის დასაწყისში ან მოგვიანებით დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიას ადრე არ მიუღია.

აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის – ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოიცა 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდისთვის იმ თარიღიდან ან შემდეგ, რომელსაც დაადგენს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო IASB). აღნიშნული ცვლილებები გულისხმობს შეუსაბამობას ფასს 10-სა და ბასს 28-ში მოცემულ მოთხოვნებს შორის, რომელიც ეხება შემდეგ-აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის. ცვლილებების მთავარი შედეგი არის ის, რომ მთლიანი შემოსულობა ან ზარალი აღიარებულია, მაშინ როდესაც გარიგება მოიცავს ბიზნესს. ნაწილობრივი შემოსულობა ან ზარალი აღიარებულია, მაშინ როდესაც გარიგება მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ მოიცავს ბიზნესს, მაშინაც კი, თუ ასეთ აქტივებს ფლობს შვილობილი საწარმო. გრუპი ამჟამად ახდენს ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 -" სადაზღვევო ხელშეკრულებები "(გამოიცა 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის წლიური პერიოდისთვის 2021 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ.) ფასს 17 ჩაანაცვლა ფასს 4-მა, რამაც კომპანიებს უფლება მისცა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვა, არსებული პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად, ინვესტორებისთვის რთული იყო მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური შედეგების შედარება და განსხვავება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი, ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, გადაზღვევის ხელშეკრულებების ჩათვლით, რომელსაც ფლობს მზღვეველი. სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარებასა და შეფასებას: (i) მომავალი ფულადი ნაკადების რისკებით კორექტირებული ამჟამინდელი ღირებულება (შესრულების ფულადი ნაკადები), რომელიც მოიცავს ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციას შესრულების ფულადი ნაკადების შესახებ, დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციის შესაბამისად. პლიუს (თუ ეს ღირებულება წარმოადგენს ვალდებულებას) ან მინუს (თუ ეს ღირებულება არის აქტივი) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ხელშეკრულებების ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების ზღვარი). მზღვეველები სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან აღიარებენ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი ახორციელებენ დაზღვევის დაფარვას, რადგან ისინი თავისუფლდებიან რისკებიდან. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი არის ან გახდება ზარალის

მომტანი, საწარმო დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს. გრუპი არ მოელის ცვლილებებისგან არსებით გავლენას აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებებზე .

კონცეპტუალური ჩარჩოების ცვლილებები ფინანსური ანგარიშგებისათვის. (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის 2020 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ). გადასინჯული კონცეპტუალური ჩარჩოები მოიცავს შეფასების ახალ თავს ; მითითებები ფინანსური ანგარიშგების საქმიანობის შესახებ; გაუმჯობესებული განმარტებები და მითითებანი-კერძოდ ვალდებულების განმარტება; და დაზუსტებები ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა მართვისუნარიანობის, წინდახედულობის და განუსაზღვრელობის შეფასების როლი ფინანსურ ანგარიშგებაში.

საწარმოს განსაზღვრება—ცვლილებები ფასს 3 -ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის 2020 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ). ცვლილებით გადაიხედა საწარმოს განმარტება . ბიზნესს უნდა ჰქონდეს რესურსები და ძირითადი პროცესები, რომლებსაც ერთად მნიშვნელოვანი წვილილი შეაქვთ შედეგების მიღებაში. ახალი სახელმძღვანელო უზრუნველყოფს შეფასების ჩარჩოს, სადაც წარმოდგენილია რესურსები და ძირითადი პროცესი, მათ შორის ადრეულ საფეხურებზე მყოფი კომპანიებისთვის, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აქვთ მიღებული შედეგები. თუ საწარმოში შედეგი არ არის,სამუშაო ძალის ორგანიზება უნდა იყოს წარმოდგენილი , როგორც კლასიფიკაციის პირობა . ტერმინი „შედეგი“-ს განმარტება შევიწროვებულია, რათა ყურადღება გამახვილდეს მომხარებლისთვის მიწოდებულ საქონელსა და მომსახურებაზე, მიღებულ საინვესტიციო შემოსავალზე და სხვა შემოსავალზე, და იგი გამორიცხავს ანაზღაურებას უფრო დაბალი ღირებულებით და სხვა ეკონომიკური სარგებლით. აგრეთვე არ დგას საჭიროება იმისა, რომ შეფასდეს თუ რამდენად შესწევთ საბაზრო მონაწილეებს უნარი იმისა, რომ ჩაანაცვლონ დაკარგული ელემენტები ან მოახდინონ შეძენილ აქტივობებსა და აქტივებში ინტეგრირება. სუბიექტს შეუძლია გამოიყენოს „კონცენტრირების ტესტი“. შეძენილი აქტივები არ წარმოადგენენ საწარმოს , თუკი მიღებული მთლიანი აქტივების რეალური ღირებულება მოექცევა ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). ცვლილებები პერსპექტიულია და კომპანია მათ გამოიყენებს და შეაფასებს მათ ზეგავლენას 2020 წლის 1 იანვრიდან.

არსებითობის განსაზღვრება – ცვლილებები ბასს 1 და ბასს 8-ში (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის 2020 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ). ცვლილებები აზუსტებს არსებითობის განმარტებას და იმას, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული განმარტებითი სახელმძღვანელო, რომელიც ფასს-ში დღემდე სხვაგან იყო განმარტებული. ამასთანავე გაუმჯობესდა ახსნა-განმარტებები, რომლებიც თან ახლავს განმარტებას. და ბოლოს, ცვლილებები უზრუნველყოფს ,რომ არსებითობის განსაზღვრება არის თანმიმდევრული (შესაბამისი) ყველა ფას სტანდარტის. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვება, უზუსტობა ან ბუნდოვანობა გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია,რომ გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების გადაწყვეტილებაზე,რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე .

7. „ჯგუფი“-ს ძირითადი საშუალებები

	შენიშნა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ღირებულება					
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	827,434	1,066,413	59,377	3,130,644	5,083,868
მატება ჩამოწერა	-	202,555	1,825	-	204,380
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	827,434	1,268,968	61,202	3,130,644	5,288,248
მატება ჩამოწერა	-	52,455	-	-	52,455
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	827,434	1,321,423	61,202	3,130,644	5,340,703
დაგროვილი ცვეთა					
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	84,068	411,270	33,890	1,177,256	1,706,484
ცვეთის ხარჯი ჩამოწერა	38,352	168,629	5,486	390,239	602,706
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	122,420	579,899	39,376	1,567,495	2,309,190
ცვეთის ხარჯი	35,251	145,623	4,365	312,258	497,497
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	157,671	725,522	43,741	1,879,753	2,806,687
ნარჩენი ღირებულება					
31 დეკემბერი 2018 წელი	743,366	655,143	25,487	1,953,388	3,377,384
31 დეკემბერი 2019 წელი	705,014	689,069	21,826	1,563,149	2,979,058
31 დეკემბერი 2020 წელი	669,763	595,901	17,461	1,250,891	2,534,016

8. „ჯგუფი“ -ს სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31.12.2020	31.12.2019
მზა პროდუქცია	300,740	321,186
მასალები/ნედლეული	377,563	566,700
სხვა მარაგები	120,773	401,058
დაუმთავრებელი წარმოება(მშენებლობა)	1,245,830	892,094
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	2,044,906	2,181,038

9. „ჯგუფი“ -ს გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები	31.12.2020	31.12.2019
წინასწარ გადახდილი ხელფასები	86,133	80,004
სხვა გადახდილი ავანსები	57,237	8,851
სულ გადახდილი ავანსები	143,370	88,855

10. „ჯგუფი“-ს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

„ჯგუფი“-ს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შედგება მხოლოდ სამი სახის მოთხოვნისაგან პერიოდების შესაბამისად შემდეგი ნაშთით:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2020	31.12.2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,518,174	3,138,084
სხვა მოთხოვნები	35,210	35,210
მოთხოვნები წილის შესყიდვაზე	1,534,042	1,323,517
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,087,426	4,496,811

11. „ჯგუფი“-ს ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2020	31.12.2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	72,684	32,873
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში		-
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	884,793	182,424
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში		-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	957,477	215,297

გარდა ამისა, „ჯგუფი“ ფლობს შეზღუდული ფულადი სახსრების მიმდინარე ბალანსს სს თიბისი, სს პროკრედიტ და სს ტერა ბანკებში, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა საკრედიტო ხაზების და გარანტიის უზრუნველყოფას, რომელიც გაცემულია ფინანსური ინსტიტუტის მიერ სხვადასხვა მხარეებისთვის „ჯგუფი“-ს სასარგებლოდ. ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იქნას, როგორც არასარიცხოვრებელი ფაქტისგათვალისწინებით, რომ ბანკში, სადაც კომპანიას აქვს ანგარიშები არის სანდო და წარმოადგენს ცნობილ ავტორიტეტულ საკრედიტო დაწესებულებას.

12. „ჯგუფი“-ს კაპიტალი

„ჯგუფი“-ის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად კაპიტალი 2,277,587 ლარიდან განსაზღვრა 1,833,112 ლარით.

13. „ჯგუფი“-ის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო ვალდებულებები	2,332,124	3,433,749
სხვა ვალდებულებები	155,121	85,359
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოს ვალდებულება	1,035,053	743,689
საგადასახადო ვალდებულება	500,081	246,466
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,022,379	4,509,263

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არა არის.

14. „ჯგუფი“-ს სესხები

მოკლევადიანი სესხები	31.12.2020	31.12.2019
ბანკის სესხები ლარში	250,754	279,514
სულ მოკლევადიანი სესხები	250,754	279,514

სესხები უზრუნველყოფილია „ჯგუფი“-ის ძირითადი საშუალებებით და უძრავი ქონებით.

15. „ჯგუფი“-ის შემოსავალი

შემოსავალი	2020	2019
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	9,248,821	17,755,647
სხვა შემოსავალი	150,713	318,997
სულ შემოსავალი	9,399,534	18,074,644

16. „ჯგუფი“-ის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2020 წ.	2019 წ.
ხელფასის ხარჯი	2,482,127	3,378,799
იჯარის ხარჯი	25,142	34,592
ელექტროენერგიის ხარჯი	6,150	5900
ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ხარჯი	254,139	721,353
ტექნიკის დაზღვევის ხარჯი	73,525	196,030
საკანცელარიო ხარჯი	709	606
ცვთის ხარჯი	497,497	602,706
კომპიუტერული ხარჯი	204	318
კომუნიკაციის ხარჯი	3,998	4,212
საწვავის ხარჯი	530,567	1,231,029
მივლინების ხარჯი	0	9,210
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯი	1,000	566,782
მომსახურების ხარჯი	862,137	4,523,758
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	1,600	2,742
ლაბორატორიული მომსახურების ხარჯი	9,131	23,676
ექსპერტის ხარჯი	45,240	43,269
სამეურნეო ხარჯი	44,309	78,356
ბანკის საკომისიოს ხარჯი	4,199	39,861
წარმომადგენლობითი ხარჯი	0	0
საგადასახადო ხარჯი	41,319	38,861
სხვა ხარჯი	26,113	40,499
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	4,909,106	11,542,559

17. „ჯგუფი“-ის ფინანსური შემოსავლები

ფინანსური შემოსავალი	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი	47,137	49,344
სხვა შე შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	0	18,225
სხვა შემოსავლები	35,647	57,819
სულ ფინანსური შემოსავალი	82,784	125,388

18. „ჯგუფი“-ის ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი	2020	2019
საპროცენტო ხარჯი	49,922	74,954
სხვა ფინანსური ხარჯი	42,732	86,536
უარყოფითი საკურსო სხვაობა	68,188	0
სულ ფინანსური ხარჯი	160,842	161,490

19. ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები	ერთ წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე ზემოთ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	2,332,124	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	-

20. შეფასების კატეგორიის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტების პრეზენტაცია

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შედამღებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობითი მხარეებს შორის გაშლილი ხელის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები წარმოდგენილია ფულად ეკვივლენტებში მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ.

21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით “შენიშვნები დაკავშირებულია მხარეების შესახებ”, წარმოადგენს:

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები) : ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყერადღება ექცევა ამ ურთიერთობის არს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას, კომპანიას და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შეესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

შენიშვნები „ჯგუფი“-ს ფინანსურ ანგარიშებზე 2020 წლის 31 დეკემბერი (ლარი)

მენეჯმენტის ანაზღაურება	2020	2019
ხელფასები სხვა მიღებული მოკლევადიანი სარგებელი	168,710	168,287
სულ	168,710	168,287

შენიშვნა 22 - გაუთვალისწინებელი გარემოებები

დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში შპს გზების მიმართ ხორციელდება სამართლებრივი დავები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვისა და პრივატიზაციის დეპარტამენტთან იჯარით აღებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის თაობაზე, კერძოდ ხელშეკრულების პირობების არასათანადო შესრულებაზე. ამასთან კომპანიაში ასევე მიმდინარეობს სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 14.05.2021წ #14388 ბრძანებით 2018-2020 წწ საგადასახადო შემოწმება, რომელიც არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას „ჯგუფი“-ს ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 22 ოქტომბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შპს „გზები“

დირექტორი:

ი.აბაშიძე

„ჯგუფის“ შიდა კონტროლის ეფექტურობასთან დაკავშირებით.

- ვახორციელებთ მენეჯმენტის მიერ გამჟღავნებული საბუღალტრო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის შესაბამისობის შეფასებას.
- ვაჯამებთ მენეჯმენტის მიერ ბიზნესის უწყვეტობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მიღებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე ვადგენთ, არსებობს თუ არა მატერიალური, არსებითი შეუსაბამობა იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეჭვის წარმოშობა „ჯგუფის“ ქმედითუნარიანობასთან დაკავშირებით, აგრეთვე ვადგენთ, რამდენად შესწევს „ჯგუფს“ საქმიანობის გაგრძელების უნარი. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობანი, ჩვენ მოგვეთხოვება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე ყურადღების გამახვილება, რომელიც უკავშირდება ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამჟღავნება არაა დეკლარირებული, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომელიც მოპოვებულია ჩვენი აუდიტორული დასკვნის თარიღისათვის, თუმცა, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა, ან გარემოებამ, შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის საქმიანობის შეწყვეტა.
- ვახორციელებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიანი პრეზენტაციის, სტრუქტურისა და შინაარსის შეფასებას, მათ შორის გამჟღავნებული ინფორმაციის შეფასებას და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანადაა წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი ოპერაციები და მოვლენები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აზრის გამოხატვის მიზნით ჯგუფში არსებული სუბიექტების ფინანსური და ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ჯგუფის აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ, პირადად ვაგებთ პასუხს ჩვენი აუდიტის დასკვნებზე.

ვაწარმოებთ კომუნიკაციას იმ პირებთან, რომლებიც ჩართულნი არიან

მმართველობის საკითხებში, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას

აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის მიერ

მოპოვებული მნიშვნელოვანი აღმოჩენების, მათ შორის შიდა კონტროლის

სისტემაში გამოვლენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების

შესახებ, რომლებიც აღმოვაჩინეთ ჩვენი აუდიტის განმავლობაში.

შპს „აუდიტი - A“ -ს სახელით (რეგისტრაციის № SARAS-F-911029)

ჯემალ ალანია (რეგისტრაციის № SARAS-A-336078)



22 ოქტომბერი 2021 წელი

თბილისი, საქართველო

/ხელმოწერილია/

შპს „გზები“

ფინანსური მდგომარეობის

კონსოლიდირებული

ანგარიშგება 2020 წლის 31

დეკემბრის მდგომარეობით

31.12.2020

31.12.2019

31.12.2018

ქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2,534,016	2,979,058	3,377,384
მიწა	1,749,958	1,749,958	1,749,958
არამატერიალური აქტივები	30,947	30,947	30,947
სულ გრძელვადიანი აქტივები	4,314,921	4,759,963	5,158,289
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2,044,906	2,181,038	2,157,972
გაცემული სესხები	389,059	425,170	420,174
გადახდილი ავანსები	143,370	88,855	26,629
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,553,384	3,173,294	2,566,733
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	0
ფული და ფულის ექვივალენტები	957,477	215,297	126,864
მოთხოვნები წილის შესყიდვაზე	1,534,042	1,323,517	1,254,694
სულ მიმდინარე აქტივები	7,622,238	7,407,171	6,553,066
სულ აქტივები	11,937,159	12,167,134	11,711,355
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	1,833,112	2,277,587	2,724,264
სარეზერვო კაპიტალი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება	5,830,914	5,057,010	4,286,069
სულ კაპიტალი	7,664,026	7,334,597	7,010,333
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	2,332,124	3,433,749	2,546,609
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	155,121	85,359	298,850
მიმდინარე სესხები	250,754	279,514	640,433
სხვა საგადასახადო ვალდებულება	500,081	246,466	362,061
ვალდებულება თანამშრომელთა წინაშე	1,035,053	743,689	563,569
სულ მიმდინარე ვალდებულებები	4,273,133	4,788,777	4,411,522
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა ფინანსური ვალდებულებები	0	43,760	289,500
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	0	43,760	289,500
სულ ვალდებულებები	4,273,133	4,832,537	4,701,022
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	11,937,159	12,167,134	11,711,355

დირექტორი



ი.აბაშიძე

შპს „გზები“

სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი		9,399,534	18,074,644
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		(3,638,466)	(5,725,042)
საერთო მოგება		5,761,068	12,349,602
საერთო ადმინისტრაციული ხარჯი		(4,909,106)	(11,542,559)
საოპერაციო მოგება		851,962	807,043
ფინანსური ხარჯები		(92,654)	(161,490)
(ზარალი)/მოგება საკუროს სხვაობიდან		(68,188)	18,225
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		82,784	107,163
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		773,904	770,941
მოგების გადასახადი		0	0
გადავადებული მოგების გადასახადის შემოსავალი		0	0
წმინდა მოგება/ზარალი		773,904	770,941

დირექტორი:



ი.აბაშიძე

შპს „გზები“

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

	სარეზერვო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
01 იანვარი 2019 წელი	-	2,724,264	4,286,069	7,010,333
პერიოდის მოგება		-	770,941	
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	(446,677)	-	
გაცემული დივიდენდი			-	
31 დეკემბერი 2019 წელი	-	2,277,587	5,057,010	7,334,597
პერიოდის მოგება	-	-	773,904	
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	(444,475)	-	
31 დეკემბერი 2020 წელი	-	1,833,112	5,830,914	7,664,026

დირექტორი:

ი.აბაშიძე



შპს „გზები“

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერი

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	773,904	770,941
მოგების გადასახადი	-	-
ცვეთა ამორტიზაცია	497,497	602,706
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე	1,271,401	1,373,647
ზრდა/შემცირება სასაქონლო მატერიალურ ფასეულობაში	136,132	(23,066)
ზრდა/შემცირება გადახდილი ავანსები	(19,253)	(62,226)
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	619,910	(606,561)
გაცემული სესხები	36,111	(4,996)
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(522,146)	738,174
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან	250,754	41,325
წმინდა ფულის შემოსავლა(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	250,754	41,325
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(52,455)	(204,380)
ინვესტიცია საწესდებო კაპიტალში	(444,475)	(446,677)
სარეზერვო კაპიტალი	-	-
წილის შესყიდვა	(210,525)	(68,823)
წმინდა ფული (გამოყენებული) მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან	(707,455)	(719,880)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
აღებული სესხი	-	-
გადახდილი სესხი	(28,760)	(360,919)
მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე	-	-
ფინანსური იჯარა	(43,760)	(245,740)
გადახდილი დივიდენდი	-	-
წმინდა ფული (გამოყენებული) მიღებული ფინანსური საქმიანობიდან	(72,520)	(606,659)
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე	-	-
წმინდა ფულის ზრდა	742,180	88,433
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	215,297	126,864
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	957,477	215,297

დირექტორი



ი.აბაშიძე

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 22 ოქტომბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შპს „გზები“

დირექტორი:



ი.აბაშიძე

მმართველობის ანგარიშგება

2021

10/2021 შპს გზები

მართველობის ანგარიშგება

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი და სტანდარტები; მოიცავს „ჯგუფის“, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია „ჯგუფის“ განვითარების პოტენციალის ფაქტობრივ მაჩვენებლებს. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნული დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და ჯგუფის დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

„ჯგუფის“ შესახებ

შპს „გზები“ რეგისტრირებულია 1996 წელს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. 2020 წელს კომპანიის დამფუძნებელი (100 %) და დირექტორია ირაკლი აბაშიძე, რომელიც დღემდე წარმოადგენს კომპანიის 100 %-იან დამფუძნებელს და დირექტორს. შპს „გზები“ ფლობს 100% -იან წილს შპს ბაგრატიონი 26 -ში (ს/კ 445519804) დირექტორი: თემურ ხალვაში.

წარდგინება

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ „ჯგუფის“ მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გაეხადოთ „ჯგუფის“ საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი.

ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ „ჯგუფს“ გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „გზები“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გზებისა და ავტობანების მშენებლობა. ამასთან კომპანია აწარმოებს ასფალტს და ახდენს მის რეალიზაციას. ხოლო, შპს ბაგრატიონი 26 საქმიანობის საგანს წარმოადგენს საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, კომპანიების იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ. ბათუმი აკაკი შანიძის I შესახვევი #4.

კომპანიას გააჩნია საკუთარი მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები, ინვენტარი და საქმიანობისთვის საჭირო მანქანა-დანადგარები.

ჯგუფის საკრედიტო, ბაზრის, ლიკვიდობისა და ფულადი სახსრების მოძრაობის რისკების განხილვა და მათი მართვის მექანიზმები

ჯგუფში რისკის მართვა ხორციელდება ფინანსური რისკების, ოპერაციული რისკების და იურიდიული რისკების გათვალისწინებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა ფასებიდან გამომდინარე რისკებს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის მთავარ მიზანს წარმოადგენს რისკების ლიმიტების დადგენა და მათი შემდგომი კონტროლირება. ჯგუფი ახდენს საკრედიტო რისკების კონცენტრაციას, ანგარიშების მიღების გზით, მენეჯმენტი მართავს და აფიქსირებს თავმოყრილ საკრედიტო რისკებს. ლიკვიდობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომელშიც სუბიექტს შეეძენება სირთულე იმ ვალდებულებებთან მიმართებით, რომლებიც ასოცირდება ფინანსურ ვალდებულებებთან. მენეჯმენტი მართავს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ მოძრავ პროგნოზს. ჯგუფი ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსება, რომელიც ძირითადად შედგება სავაჭრო და სხვა გადასახდელებისგან.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

„ჯგუფის“ სტრუქტურა მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე.

დირექტორების მოკლე ბიოგრაფია

ირაკლი აბაშიძე შპს „გზები“-ს და თემურ ხალვაში შპს „ბაგრატიონი 26“-ის დირექტორად დაინიშნენ რეგისტრაციის დღიდან.

სტრუქტურის თავისებურებანი და მაგალითები

„ჯგუფი“-ს სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე.

ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულად განსაზღვრულია შესაბამისი თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობები. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლებების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

პოლიტიკა

საერთაშორისო რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვისათვის, კომპანიაში შექმნილია პოლიტიკა, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და ყოველგვარ დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს. პოლიტიკებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა.

შპს „ჯგუფი“ მიზნად ისახავს მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. კომპანიაში ფუნქციონირებს გარემოს დაცვის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებას. კომპანიას აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვები, აქვს შრომის უსაფრთხოების სამსახური და შესაბამისად, მუდმივად ახორციელებს გარემოსდაცვითი საქმიანობისა და შრომის უსაფრთხოების ზომების მონიტორინგს.

ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია განსაზღვროს არსებული, პოტენციური და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების განსაზღვრის, მართვისა და აღკვეთის წესები. განმარტოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული თემები და დაეხმაროს თანამშრომლებს მათ პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებაში. კერძოდ:

განსაზღვროს ის სიტუაციები, სადაც შესაძლებელია წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი;

ჩამოაყალიბოს ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის, პრევენციისა და მართვის

პროცედურები, მექანიზმები და სისტემები;

დაიცვას კომპანიის, მისი მომხმარებლების, თანამშრომლების, ინვესტორებისა და მომწოდებლების ინტერესები, კონფლიქტის აღმომგზვრელი შესაბამისი ზომების შემუშავებით;

უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებთან შესაბამისობა.

ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები/აკრძალვები:

- საქმიანობა დამსაქმებელი კომპანიის გარეთ;
- ნათესაური კავშირები დაქვემდებარებულ თანამშრომელთა შორის;
- აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება;
- ნარკოდამოკიდებულება;
- პერსონალური ტრანზაქციები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტის მიზანია პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესების და რეგულაციების დანერგვა და აღწერა. ამ კუთხით

თანამშრომელთათვის აუცილებელი შეზღუდვების დაწესება და ამავდროულად მათი პერსონალური მონაცემთა დაცვა უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისაგან.

შეტყობინების მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს დამსაქმებელ კომპანიაში ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ოპერატიულად იქნება გამოვლენილი და აღკვეთილი ნებისმიერი შეუსაბამოა თუ დარღვევა. სწორედ კომპანიაში დასაქმებული ადამიანები არიან თვითმხილველნი მათ ირგვლივ არსებული დარღვევებისა. პოლიტიკის თანახმად, დამსაქმებელი კომპანია უზრუნველყოფს განმცხადებელი პირის ანონიმურობას, მისი განცხადება განიხილება სრული პასუხისმგებლობით და კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვით.

არაფინანსური ანგარიშგება

ჩვენი გუნდი

„ჯგუფი“ დასაქმებულია ერთობლივად დაახლოებით 157-მდე თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან, კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევექმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს.

„ჯგუფი“ იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე „ჯგუფი“ მიმართ არ აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, „ჯგუფი“ ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. „ჯგუფი“ მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.


ამ სფეროს დასარეგულირებლად „ჯგუფი“ იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე.

მმართველობის ანგარიშგება გაცემულია შპს „გზები“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებისათვის

უფლებამოსილი პირი - დირექტორი



ი.აბაშიძე